

თსუ პაატა გუგუშვილის  
სახელობის ეკონომიკის  
ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების  
კრებულის  
XVI

*მთავარი რედაქტორი*

**რამაზ აბესაძე**

*სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია*

გ. ბერუღავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურღული, თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, თ. ლაზარაშვილი, ვლ. პაპავა, მ. ხუსკივაძე, რ. ჯაგახიშვილი

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის  
ინსტიტუტის გამომცემლობა  
თბილისი 2023

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის  
ინსტიტუტის გამომცემლობა  
2023

**PROCEEDINGS OF  
SCIENTIFIC WORKS  
OF PAATA GUGUSHVILI  
INSTITUTE OF ECONOMICS  
OF TSU  
XVI**

*Editor-in-chief*

**Ramaz Abesadze**

*Scientific-Editorial Board*

**G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, M. Khuskivadze, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava, L. Totladze**

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF ECONOMICS OF TSU  
TBILISI 2023**

*UDC (ჯსჯ) 061.62: 33(479.22)(045)*

*ჯ – 121*

**The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.**

**The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.**

**The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information**

**© Publishing House of Paata Gugushvili Institute of  
Economics of TSU  
2023**

**ISSN 1987 - 6904**

**პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი და მათთან დაკავშირებული  
ეკონომიკური საფრთხეები**

*ანოტაცია.* სტატიაში შესწავლილია COVID-19-ის პანდემიით, რუსეთ-უკრაინის ომით და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ შემოღებული ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული ეკონომიკური საფრთხეები. კვლევის შედეგად გამოკვეთილია მაკროეკონომიკური (სახელმწიფო ვალის ზრდა, მაღალი ინფლაცია) და მიკროეკონომიკური (ეკონომიკის ზომბირება, ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შეჩერება) საფრთხეები. რუსეთის ომმა უკრაინაში გაამწვავა მოსკოვის მიერ არალეგალური ტრანზაქციებში კრიპტოვალუტის გამოყენების საფრთხე. ასევე მწვავედ დადგა ენერგეტიკული და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები. საფუძველი ეყრება საერთაშორისო ვაჭრობაში დედოლარიზაციის პროცესს, თუმცა რეალურად აშშ-ის დოლარის ჩანაცვლების განჭვრეტა სხვა ვალუტით ჯერჯერობით და მეტ-ნაკლებად მომავალშიც შეუძლებელია. მსოფლიო ეკონომიკის მომავალი ეკონომიკური მოდელის საფუძველი, სავარაუდოდ, იქნება „გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით“.

**შესავალი**

თანამედროვე მსოფლიო, უწინარეს ყოვლისა, იმით გამოირჩევა, რომ აშკარაა თითქმის უწყვეტად მზარდი ეკონომიკური (მათ შორის, მონეტარული და ფინანსური) საფრთხეები, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ, პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ, ეკოლოგიურ, სამედიცინო და ტექნოლოგიურ პრობლემებთანაა გადაჯაჭვული [Roubini, 2022c, 2023a, 2023b].

განსაკუთრებული სიმწვავეთ ხსენებული მასშტაბური საფრთხეები XXI საუკუნეში განვითარებულმა COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ [Ghebreyesus, 2020] გამოკვეთა, რომელმაც სერიოზული დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას და გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია (მაგალითად, [Baldwin, Mauro, eds., 2020]), რაც COVID-19-ის პანდემიის საწყის ეტაპზე ამ ვირუსის მიმართ სამედიცინო სფეროს უსუსურობის შედეგი იყო [Papava,

2020a]. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ეკონომიკური კრიზისი უშუალოდ ეკონომიკაში არ ყოფილა ჩასახული, ქვეყნების მთავრობათა მიერ 2008-2009 წლებში გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების [Krugman, 2009; Shiller, 2008; Stiglitz, 2010] მსგავსი ზომები, პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასრულებაზე არ და ვერ იქნებოდა ორიენტირებული [პაპავა, 2020]. სხვა სიტყვებით, ატიპური ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად იმ სქემებით ხელმძღვანელობა, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ტიპური ეკონომიკური კრიზისის დროს, ვერ იძლევა ატიპური ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის შესაძლებლობას [Papava, 2020c].

COVID-19-ის გლობალური პანდემია და მისით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, როცა 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი წამოიწყო, რის საპირისპიროდაც დასავლეთმა რუსეთს საკმაოდ მოკლე დროში ეკონომიკური სანქციები დაუწესა [BBC, 2023]. პანდემიამ, ომმა და ხსენებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა გლობალურ ეკონომიკაში შექმნილი სიტუაცია ძალზედ გაართულა [Papava, 2022a, 2022b, 2022c, 2022d].

აშკარაა, რომ, როგორც COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ, ისე რუსეთის ომმა უკრაინაში და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა შექმნა თვისებრივად ახალი ეკონომიკური საფრთხეები, რომელთა იდენტიფიცირებაც წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს.

### **კორონომიკური კრიზისით გამოწვეული ძირითადი ეკონომიკური საფრთხეები**

ეკონომიკურ თეორიას, რომელიც სწავლობს COVID-19-ის გლობალური პანდემიის ზეგავლენას ეკონომიკაზე, „კორონომიკსი“ ეწოდა [Alwis, 2020]. აქედან გამომდინარე, ამ პანდემიით შექმნილი ეკონომიკური კრიზისი შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც „კორონომიკური კრიზისი“ [პაპავა, 2020; Papava, 2020a]. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ კორონომიკურმა კრიზისმა ეკონომიკური მეცნიერების წინაშე არაერთი საკითხის ახლებური გააზრება მოითხოვა [არჩვაძე, 2020; მექვაბიშვილი, 2020; ჭარაია, 2020;

Abesadze, 2020; Bedianashvili, 2021; Tvalchrelidze, 2022; Tvalchrelidze, Silagadze, 2020].

იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე COVID-19-ის ვირუსის გავრცელების შესაფერხებლად ერთადერთი გზა ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტების შეზღუდვა იყო, ამან ეკონომიკის მთელი რიგი სექტორების გაჩერება გამოიწვია, რაც კორონომიკური კრიზისის არსს წარმოადგენს. ამ ვითარებაში ანტიკრიზისული ღონისძიებების უმთავრესი მიზანი არა კორონომიკური კრიზისის დასრულება (რისთვისაც აუცილებელი პირობა მედიცინის მიერ COVID-19-ის დამარცხებაა), არამედ ამ კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გარკვეული დოზით შემსუბუქება იყო. სწორედ ამ პოზიციიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა ანტიკრიზისული ღონისძიებების შემდეგი სამი მიმართულება [Hatheway, 2020; Stiglitz, Rashid, 2020b]: სამედიცინო სექტორის ფინანსური მხარდაჭერა, კრიზისის გამო უმუშევრად დარჩენილი, ასევე სოციალურად და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის ფინანსური დახმარება და საქმიანობა-შეჩერებული კომპანიების ფინანსური მხარდაჭერა (საგადასახადო შეღავათების დაწესების, ბანკების მიმართ დავალიანებათა გადავადების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირების გზით).

კორონომიკურმა კრიზისმა განაპირობა მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური ხასიათის საფრთხეების ჩამოყალიბება. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

უმთავრეს მაკროეკონომიკურ საფრთხეს სახელმწიფო ვალის მკვეთრი ზრდა წარმოადგენს [Charaia, Papava, 2021; Lee, 2021; Papava, Charaia, 2021; Rajan, 2020; Spence, Leipziger, 2020; Stiglitz, Rashid, 2020a; Roubini, 2022d, 2022e]. სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი ზრდის მიზეზი იყო ეკონომიკის გარკვეული სექტორების დროებითი ჩაკეტვა, რამაც სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების შემცირება გამოიწვია; იმავდროულად ზემოხსენებულმა ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაზარდა, რის შედეგადაც მივიღეთ სახელმწიფო ბიუჯეტის მკვეთრად მზარდი დეფიციტი, რის დასაფარად სახელმწიფო ვალის შესაბამისი ზრდა გახდა საჭირო. ეს ტენდენცია გლობალური ხასიათისაა. საყურადღებოა, რომ 2022 წელს კერძო და სახელმწიფო ვალის თანაფარდობამ მსოფლიო სამამუ-

ლო პროდუქტთან შედარებით 330% შეადგინა; იგივე მაჩვენებელი მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის 420%-ს, ხოლო ჩინეთისთვის კი - 300%-ს აღწევს [Roubini, 2023b]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის სახელმწიფო ვალის ზრდის მაკროეკონომიკური საფრთხე კორონომიკური კრიზისის დაწყებამდეც იყო მნიშვნელოვანი [Abbas et al., 2019; Dalio, 2018; Hager, 2016; Newman, 2013; 24-26]. ამკარაა, რომ სახელმწიფო ვალის გლობალური მაკროეკონომიკური საფრთხისადმი გამკლავება მხოლოდ და მხოლოდ გლობალურ დონეზე იქნება შესაძლებელი.

ეკონომიკის ცალკეული სექტორების გაჩერებამ მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტა გამოიწვია [Acemoglu, 2021b; Spence, 2021], რამაც მიწოდების შემცირების გზით ინფლაციის ზრდას შეუწყო ხელი [Acemoglu, 2021a; Charaia, Papava, 2023; Galbraith, 2021; Papava, 2022e; Pride et al., 2022; Roubini, 2022a]. მაღალი ინფლაცია კი, როგორც ცნობილია, მაკროეკონომიკური არასტაბილურობის განმაპირობებელია.

იმ მიზნით, რომ მომავალში გამოირიცხოს გლობალური ჯაჭვების წყვეტით გამოიწვეული საფრთხეები [Marin, 2021] დღის წესრიგში დადგა ე.წ. „ფრენდშორინგი“ (“friendshoring”), ან „ელიაშორინგი“ (“allyshoring”) [Kessler, 2022; Kollwe, 2022], როცა ვაჭრობა ხორციელდება მხოლოდ იმ ქვეყნების მეშვეობით, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ მაღალი ნდობა აქვთ, რის გამოც აუცილებელი ხდება მიწოდების ჯაჭვების ამ ქვეყნების წრეში მოქცევა. ხშირ შემთხვევაში, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ამგვარი ქვეყნების წრე ცვალებადი შეიძლება იყოს, რაც, თავის მხრივ, ცალკე სირთულეებს წარმოქმნის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფრენდშორინგის დროს, როგორც წესი, ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებიან ეკონომიკურად მეტ-ნაკლებად ერთნაირი განვითარებული ქვეყნები. ეს კი ახალ საფრთხეებს უქმნის გლობალურ ეკონომიკას:

1. ერთმანეთისადმი ნდობით აღჭურვილი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების კოოპერაციულ კავშირები განვითარებად ქვეყნებთან თუ არ გაწყდება, უეჭველად შესუსტდება მაინც [Rajan, 2022b];



2. ფრენდშოპინგის ფორმატში ერთმანეთთან დაკავშირებული ეკონომიკურად მეტ-ნაკლებად ერთნაირი განვითარების ქვეყნები გამორიცხავს განვითარებად ქვეყნებში არსებული შედარებით იაფი შრომის გამოყენებას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, გამოიწვევს წარმოების ხარჯების ზრდას და ამ გზით ინფლაციის დონის მატებას შეუწყობს ხელს.

რაც შეეხება მიკროეკონომიკურ დონეს, უმთავრეს საფრთხეს ეკონომიკის ზომბირება [მაგალითად, Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, Kashyap, 2005; LeLaulu, 2009; Smith, 2003] წარმოადგენს. კერძოდ, კორონომიკური კარიზისის დროს სახელმწიფო იძულებულია ფირმის გადახდისუუნარობის მიუხედავად ის სახელმწიფოს ხარჯზე შეინარჩუნოს ბაზარზე, რის შედეგადაც იქმნება ფირმის ქცევის ისეთი რუტინა, რომლის საფუძველზეც პოსტკრიზისულ პერიოდშიც ასეთი ფირმა სახელმწიფოს ხარჯზე აგრძელებს არსებობას. საყურადღებოა, რომ ზომბიეკონომიკა „ჯანსაღ“ ეკონომიკურ განვითარებას კორონომიკური კრიზისის დაწყებამდეც უქმნიდა სერიოზულ საფრთხეს [Andrews et al. 2017; Banerjee, Hofmann, 2018; Blažková, Dvouletý, 2020; Constable, Wright, 2011; Desjardins, Emerson, 2011; Harman, 2010; Krugman, 2020; Onaran, 2012; Papava, 2010; Quiggin, 2010]. კორონომიკურმა კრიზისმა კი კიდევ უფრო გაამწვავა ეკონომიკის ზომბირების პრობლემა, რამაც ეკონომიკის ზომბირებით გამოწვეული საფრთხეები კიდევ უფრო გააღრმავა [Donnan, 2020; Lee, 2020; Papava, 2020b; Papava, Chkuaseli, 2021a, 2021b; Stiglitz, 2020].

ფაქტია, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში გლობალური ეკონომიკისთვის ერთ-ერთ საფრთხეს ზომბიეკონომიკის არსებობა წარმოადგენს [Papava, 2023].

საყურადღებოა, რომ ზომბიეკონომიკა, თავის მხრივ, რეალურ საფრთხეს უქმნის ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას [Am et al., 2020; Dahlke et al., 2021; Jingru, 2017; Santos et al., 2021; Williams, 2020], რადგანაც იგი თავისი შინაარსით პრინციპულად უარყოფს ინოვაციურ საქმიანობას.

**რუსეთ-უკრაინის ომი, ეკონომიკური სანქციები და  
მათ მიერ გამოწვეული ძირითადი ეკონომიკური საფრთხეები**

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში და დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი. ამის საპირისპიროდ დასავლეთმა რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა [BBC, 2023].

როგორც ომი, ისე ეკონომიკური სანქციები ამწვავებს ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) საფრთხეების პრობლემას. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური სანქციები მიზანს სრულად მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს, როცა ამ სანქციებს მაქსიმალურად ბევრი სახელმწიფო უერთდება და სანქცია ყველა შესაძლო „ხვრელს“ ასევე მაქსიმალურად გამოირიცხავს [Tarallo, 2020].

ფაქტია, რომ რუსეთის ომმა უკრაინაში და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა მსოფლიო ეკონომიკაზე უაღრესად დიდი ზეგავლენა იქონია [Papava, 2022b; Roubini, 2022b], რაც კონფრონტაციულ გლობალიზაციაში გამოიხატა [Papava, 2022c, 2022d].

საყურადღებოა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ შემოღებული ეკონომიკური სანქციები არ იქნა გაზიარებული მსოფლიოს არაერთი ქვეყნის (მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი. ისრაელი და სხვ.) მიერ, თანაც ეს სანქციები არ გამოირიცხავს ზემოხსენებულ „ხვრელებს“, რის გამოც ამ სანქციების მიუხედავად ევროკავშირის არაერთი ქვეყნა რუსული ენერგომატარებლების შეძენას მაინც ახერხებს [Dodman, 2022; Reuters, 2023].

რუსეთი (ისევე როგორც „ჰამასი“) მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გვერდის ასავლელად არალეგალური ტრანზაქციებისთვის წარმატებით იყენებს ბიტკოინს [Bag, 2023], რადგანაც კრიპტოვალუტით ფულის არაგამჭვირვალე, არაკონტროლირებადი გადარიცხვების განხორციელება პრაქტიკულად შეუფერხებლადაა შესაძლებელი [Ruehl, 2022]. მაშასადამე, კრიპტოვალუტა ქმნის იარაღით არალეგალური ვაჭრობის საფრთხეს, რის წინააღმდეგაც ზომების გატარება იოლ საქმეს სულაც არ წარმოადგენს.

უკრაინაში რუსეთის ომმა და მის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ძალიან გაამწვავა ენერგეტიკული და სასურსათო პრობლემები, გაზარდა შესაბამისი საფრთხეები. კერძოდ, რუსეთი დასავლეთის წინააღმდეგ იყენებს

ნავთობსა და გაზს, ასევე მარცვლეულს. ასე, მაგალითად, რუსეთმა მთელი რიგი ქვეყნების მიმართულებით ან გააძვირა, ან საერთოდ აკრძალა ხორბლის ექსპორტი, ხოლო ხორბლით დატვირთული უკრაინული გემების მხოლოდ მცირე ნაწილს დართო ნება მშვიდობიანად დაეტოვებინათ უკრაინის შავი ზღვის პორტები. შედეგად, პრაქტიკულად „ნავთობის ომსა“ [Bugriy, 2022] და „სასურსათო ომს“ [Frum, 2022] ჩაეყარა საფუძველი. თუ აქვე COVID-19-ის პანდემიით შექმნილ მსგავს საფრთხეებსაც გავითვალისწინებთ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გლობალური ეკონომიკის მდგრადობისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როგორც ენერგეტიკული [UN, 2021], ისე სასურსათო უსაფრთხოება [Blair, Kalibata, 2020].

საკურადღებოა, რომ დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა სტიმული მისცა იმ ქვეყანების უმრავლესობას, რომლებიც არ იზიარებენ ამ სანქციების სულისკვეთებას მიეღოთ ზომები საერთაშორისო ვაჭრობაში დედოლარიზაციის პროცესის ხელშესაწყობად [Dsouza, 2023]. მართალია, რომ მეტ-ნაკლებად განჭვრეტად მომავალში აშშ დოლარის ჩანაცვლება ჩინური ან ნებისმიერი სხვა ვალუტით პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება [Eichengreen, 2023; Steil, 2023], თუმცა დედოლარიზაციის საფრთხის იგნორირება, ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილად შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ჯერ პანდემიით, შემდეგ რუსეთის უკრაინაში ომითა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა ეკონომიკური საფრთხეების გლობალიზაციას შეუწყო ხელი. ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მას შემდეგ, რაც არა მარტო პანდემია დასრულდა, არამედ ხსენებული ომიც დასრულდება და ეკონომიკური სანქციებიც გაუქმდება, მსოფლიო მაინც ვერ შეძლებს დღის წესრიგიდან სრულად მოხსნას ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა, რადგან ამით მომავალში შესაძლო პანდემიური, თუ საომარი მოქმედებებისგან გამოწვეული საფრთხეების უარყოფითი ზეგავლენისგან მეტ-ნაკლებად შეძლოს თავის დაცვა. შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკა თანდათანობით გადავა იმ მოდეულზე, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით“ [Papava, 2022c]. ამგვარი მიდგომა სრულ შესაბამისობაშია იმ რეალობასთან, როცა პანდე-

მიის, ომისა და ეკონომიკური სანქციების ფონზე ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა ახლებურ ეკონომიკურ აზროვნებას მოითხოვს [Arezki, 2022].

### დასკვნა

COVID-19-ის ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე, ადამიანების დაცვის ყველაზე ქმედითი გზა მათ შორის უშუალო კონტაქტების შეზღუდვა იყო, რის შედეგადაც ეკონომიკის მთელი რიგი სექტორები გაჩერდა. ეს კი კორონომიკური კრიზისის არსს წარმოადგენს. ამ კრიზისის დროს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობისათვის პრიორიტეტული გახდა სამედიცინო სექტორის, კრიზისის გამო უმუშევრად დარჩენილი, ასევე სოციალურად და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობისა და საქმიანობაშეჩერებული კომპანიების ფინანსური მხარდაჭერა.

კორონომიკური კრიზისის შედეგად უმთავრეს მაკროეკონომიკურ საფრთხეს სახელმწიფო ვალის მკვეთრი ზრდა წარმოადგენს, რაც გამოიწვია როგორც სამედიცინო სფეროს დაფინანსებისა და სოციალური დაცვის მიზნით გაწეული ხარჯების მკვეთრმა ზრდამ, ისე ეკონომიკის გარკვეული სექტორების დროებითმა ჩაკეტვამ, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი გაიზარდა. სწორედ ამ დეფიციტის დასაფარად გახდა საჭირო სახელმწიფო ვალის ზრდა, რაც გლობალური პრობლემაა, და, შესაბამისად, ამ საფრთხიდან თავის დაღწევა ისევ და ისევ გლობალური მიდგომითაა შესაძლებელი.

კორონომიკური კრიზისის დროს ეკონომიკის ცალკეული სექტორების ჩაკეტვამ მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტას შეუწყო ხელი, რამაც შეამცირა მიწოდება, რის შედეგადაც გაიზარდა ინფლაცია, ეს თავისი ბუნებიდან გამომდინარე გლობალურ ეკონომიკურ საფრთხეს განეკუთვნება.

მომავალში მიწოდების გლობალური ჯაჭვების შესაძლო წყვეტის თავიდან აცილების მიზნით დაიწყო ე.წ. „ფრენდშორინგი“ (იგივე „ელაიშორინგი“), როცა მიწოდების ახალი გლობალური ჯაჭვები ერთმანეთის მიმართ მხოლოდ მაღალი ნდობის მქონე ქვეყნებს მოიცავენ. შედეგად, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის კოოპერაციული კავშირები სუსტდება ან სულაც წყდება, რაც, იმავდროულად, განვითარებად ქვეყნებში არსებული შედარებით იაფი შრომის გამოყენების შესაძლებლობის გამორიც-

ხვას მოასწავებს. ეს კი, თავის მხრივ, წარმოების ხარჯების ზრდას განაპირობებს, რაც ინფლაციის დონის მატების ობიექტურ საფუძველს ქმნის. სავარაუდოდ, მაღალი ინფლაცია „ფრენდშორინგის“ თანამდევ ეკონომიკურ საფრთხედ ყალიბდება.

მიკროეკონომიკურ დონეზე უმთავრესი საფრთხე ეკონომიკის ზომბირებაა. ის გამოწვეულია იმით, რომ კორონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფო იძულებულია ფირმის გადახდისუნარიობის მიუხედავად ის ბაზარზე სახელმწიფოს ხარჯზე შეინარჩუნოს. ეს კი ფირმის ქცევის ისეთი რუტინის ფორმირებას უწყობს ხელს, როცა ზომბირებული ფირმა ისევ და ისევ სახელმწიფოს ხარჯზე აგრძელებს ბაზარზე ფუნქციონირებას.

როგორც ცნობილია, ზომბიეკონომიკა ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას აშკარა საფრთხეს უქმნის.

რუსეთის ომმა უკრაინაში, ისევე როგორც დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ეკონომიკური საფრთხეების პრობლემას ახალი ელფერი შესძინა.

რუსეთი ბიტკოინს არალეგალური ტრანზაქციების განსახორციელებლად ინტენსიურად იყენებს, რითაც მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გვერდის ავლას წარმატებით ახერხებს. ამ მოვლენამ მკაფიოდ გამოკვეთა ის საფრთხეები, რომლებსაც კრიპტოვალუტის არალეგალური ვაჭრობის მიზნით გამოყენება განაპირობებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის საფრთხეები, რომლებიც ენერგეტიკულ და სასურსათო სფეროებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, რუსეთი მის ხელთ არსებული ნავთობისა და გაზის, ასევე მარცვლეულის მიწოდების შეზღუდვებს იყენებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესეს.

იმ ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც არ ეთანხმებიან რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულ ეკონომიკურ სანქციებს, განიხილავენ საერთაშორისო ვაჭრობაში დედოლარიზაციის შესაძლებლობას. ეს საფრთხე ამ ეტაპზე ნაკლები სიმწვავისაა, თუმცა მისი სამომავლოდ არ გათვალისწინება აშკარა შეცდომა შეიძლება გახდეს.

გლობალურმა პანდემიამ, რუსეთის უკრაინაში ომმა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა ეკონომიკური საფრთხეების პრობლემა განსაკუთრებით გაამწვა. სხვა თანაბარ პირობებში, მომავალში მსგავსი საფრთხეებიდან თა-

ვის დაცვის მიზნით, მსოფლიო ეკონომიკისათვის დიდი ალბათობით პრიორიტეტული გახდება ეკონომიკის ისეთი გლობალური მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც „გლობალიზაციას ეკონომიკური უსაფრთხოებით“ დაეფუძნება.

### გამოყენებული ლიტერატურა

არჩვაძე ი., 2020. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტეკონომიკური ასპექტები). თბილისი, „მწიგნობარი“.

მექვაბიშვილი ე., 2020. „გლობალური კორონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, ტომი XII, No. 2.

პაპავა ვ., 2020. „კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, ტომი XII, No. 2.

ჭარაია ვ. 2020. „კორონომიკა – საფრთხე თუ შესაძლებლობა?!“ *ეკონომიკა და ბიზნესი*, ტომი XII, No..

Abesadze R. 2020. “Globalization and the Economic Problems of the Pandemic.” *Ekonomisti*, Vol. XVI, No. 2. (In Russian).

Abbas S., Pienkowski A., Rogoff K. 2019. *Sovereign Debt: A Guide for Economists and Practitioners*. Oxfors, Oxford University Press.

Acemoglu D. 2021a. “The Real Inflation Risk.” *Project Syndicate*, July 6, <<https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-does-not-justify-derailing-recovery-for-workers-by-daron-acemoglu-2021-07>>.

Acemoglu D. 2021b. “The Supply-Chain Mess.” *Project Syndicate*, December 2, <<https://www.project-syndicate.org/commentary/us-supply-chain-mess-incentives-for-offshoring-by-daron-acemoglu-2021-12>>.

Ahearne A. G., Shinada N. 2005. “Zombie Firms and Economic Stagnation in Japan.” *International Economics and Economic Policy*, Vol. 2, No. 4.

Alwis A. de. 2020. “Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!” *Daily FT*, February 6, <<https://www.ft.lk/Columnists/Coronomics-Plan-your-eggs-and-the-basket/4-695109>>.

Am J. B., Furstenthal L., Jorge F., Roth E. 2020. “Innovation in a Crisis: Why It Is More Critical Than Ever. Prioritizing Innovation Today is the Key to Unlocking Postcrisis Growth.” *McKinsey Insights*, June, <<https://www.mckinsey.com/business-functions/strategy-and-corporate-finance/our-insights/innovation-in-a-crisis-why-it-is-more-critical-than-ever>>.

Andrews D., McGowan M.A., Millot V. 2017. *Confronting the Zombies: Policies for Productivity Revival*. OECD Economic Policy Papers, No. 21. Paris, OECD Publishing, <[https://www.oecd-ilibrary.org/economics/confronting-the-zombies\\_f14fd801-en;jsessionid=1WFoG3qijdTbHTmyxuQT2E8anEZbnMhaF1YbM-TV.ip-10-240-5-34](https://www.oecd-ilibrary.org/economics/confronting-the-zombies_f14fd801-en;jsessionid=1WFoG3qijdTbHTmyxuQT2E8anEZbnMhaF1YbM-TV.ip-10-240-5-34)>.

Arezki R. 2022. “Economics in the New Age of National Security.” *Project Syndicate*, August 26, <<https://www.project-syndicate.org/commentary/will-global-fragmentation-produce-new-economic-thinking-by-rabah-arezki-2022-08?barrier=accesspaylog>>.

Bag S. 2023. “Bullets and Bitcoin: Financing Conflict.” *Eurasia Review*, October 22, <<https://www.eurasiareview.com/22102023-bullets-and-bitcoin-financing-conflict-analysis/>>.

Baldwin R., Mauro B. W. di, eds. 2020. *Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever It Takes*. London, CEPR Press, <[https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEGS1\\_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFFJeSzH5tfEi6Odu55Fx8](https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEGS1_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFFJeSzH5tfEi6Odu55Fx8)>.

Banerjee R., Hofmann B. 2018. “The Rise of Zombie Firms: Causes and Consequences.” *BIS Quarterly Review*, September, <[https://www.bis.org/publ/qtrpdf/r\\_qt1809g.pdf](https://www.bis.org/publ/qtrpdf/r_qt1809g.pdf)>.

BBC. 2023. "What Sanctions are being Imposed on Russia over Ukraine Invasion?" *BBC*, May 25, <<https://www.bbc.com/news/world-europe-60125659>>.

Bedianashvili G. 2021. "Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis." *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 15, No. 2.

Blair T., Kalibata A. 2020. "Building Food Security During the Pandemic." *Project Syndicate*, May 7, <[https://www.project-syndicate.org/commentary/four-ways-to-boost-food-security-during-covid19-pandemic-by-tony-blair-and-agnes-kalibata-2020-05?utm\\_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm\\_campaign=2ad6876daf-sunday\\_newsletter\\_10\\_05\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-2ad6876daf-93567601&mc\\_cid=2ad6876daf&mc\\_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog](https://www.project-syndicate.org/commentary/four-ways-to-boost-food-security-during-covid19-pandemic-by-tony-blair-and-agnes-kalibata-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=2ad6876daf-sunday_newsletter_10_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2ad6876daf-93567601&mc_cid=2ad6876daf&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog)>.

Blažková I., Dvouletý O. 2020. "Zombies: Who are They and How do Firms Become Zombies?" *Journal of Small Business Management*, Vol 60, No. 1.

Bugriy M. 2022. "The Oil War: Facing EU Embargo, Russia Targeted Ukraine's Supplies." *Eurasia Review*, May 20, <<https://www.eurasiareview.com/20052022-the-oil-war-facing-eu-embargo-russia-targeted-ukraines-supplies-analysis/>>.

Charaia V., Papava V. 2021. "Public Debt Increase Challenge Under COVID-19 Pandemic Economic Crisis in the Caucasian Countries." *Journal of Contemporary Issues in Business and Government*, Vol. 27, No. 3. <[https://www.cibgp.com/pdf\\_10671\\_72103217f68c7736aa8ce283a31829fa.html](https://www.cibgp.com/pdf_10671_72103217f68c7736aa8ce283a31829fa.html)>.

Charaia V., Papava V. 2023. "On Supply-Side Inflation and Some Unconventional Indicators for Measuring Inflation." *International Business & Economics Studies*, 5(4): 23–35, <<http://www.scholink.org/ojs/index.php/ibes/article/view/31720/8156>>.



Constable S., Wright R. E. 2011. *The Wall Street Journal Guide to the 50 Economic Indicators that Really Matter: From Big Macs to “Zombie Banks,” the Indicators Smart Investors Watch to Beat the Market.* New York, Harper Business.

Dalio R. 2018. *Big Debt Crises.* Austin, Bridgewater.

Dahlke J., Bogner K., Becker M., Schlaile M. P., Pyka A., Ebersberger B. 2021. “Crisis-Driven Innovation and Fundamental Human Needs: A Typological Framework of Rapid-Response COVID-19 Innovations.” *Technological Forecasting and Social Change*, Vol. 169, August, <<https://reader.elsevier.com/reader/sd/pii/S0040162521002316?token=A6E76BFD4D62830283239487E7750FBF799C3DF7DF16BF3728FFDA2936A6DAE1F68E4F444853089A0E08334EC7BEBE45&originRegion=eu-west-1&originCreation=20211209091042>>.

Desjardins L., Emerson R. 2011. *Zombie Economics: A Guide to Personal Finance.* New York, AVERY.

Dodman B. 2022. “Baltic States End Russian Gas Imports – But Can the Rest of Europe Follow Suit?” *France 24*, April 5, <<https://www.france24.com/en/business/20220405-baltic-states-end-russian-gas-imports-%E2%80%93-but-can-the-rest-of-europe-follow-suit>>.

Donnan S. 2020. “America’s Economy Faces a Zombie Recovery, Even with Vaccine.” *Bloomberg*, December 15, <<https://www.bloomberg.com/news/articles/2020-12-15/covid-pandemic-u-s-economy-in-zombie-recovery-without-government-stimulus>>.

Dsouza V. 2023. “BRICS: De-Dollarization Becoming a Reality.” *Watcher Guru*, October 30, <<https://watcher.guru/news/brics-de-dollarization-becoming-a-reality>>.

Eichengreen B. 2023. “How Global Currencies End.” *Project Syndicate*, September 11, <<https://www.project-syndicate.org/commentary/will-us-dollar-global-hegemony-last-by-barry-eichengreen-2023-09?barrier=accesspaylog>>.

Frum D. 2022. "The Food War." *The Atlantic*, March 8, <<https://www.theatlantic.com/ideas/archive/2022/03/rising-food-prices-ukraine-russia-war/626967/>>.

Galbraith J. K. 2021. "Whipping Up America's Inflation Bogeyman." *Project Syndicate*, November 19, <<https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-not-macroeconomic-problem-for-fed-by-james-k-galbraith-2021-11>>.

Ghebreyesus T. A. 2020. "WHO Director-General's Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 - 11 March 2020." *World Health Organization*, March 11, <<https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19--11-march-2020>>.

Hager S. 2016. *Public Debt, Inequality, and Power: The Making of a Modern Debt State*. Oakland, University of California Press.

Harman C. 2010. *Zombie Capitalism. Global Crisis And The Relevance of Marx*. Chicago, Haymarket Books.

Hatheway L. 2020. "A COVID-19 Emergency Response Plan." *Project Syndicate*, February 27, <<https://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-economy-response-plan-by-larry-hatheway-2020-02>>.

Hoshi T., Kashyap A. 2005. "Solutions to Japan's Banking Problems: What Might Work and What Definitely will Fail." In: Ito T., Patrick H., Weinstein D.E., eds. *Reviving Japan's Economy: Problems and prescriptions*. Cambridge, The MIT Press.

Jingru L. 2017. "Can "Zombie Enterprises" Find Self-Help Road Through Technological Innovation?" *Chinese Studies*, Vol. 6, No. 3, <[https://www.scirp.org/pdf/ChnStd\\_2017072115373022.pdf](https://www.scirp.org/pdf/ChnStd_2017072115373022.pdf)>.

Kessler S. 2022. "What Is 'Friendshoring'?" *The New York Times*, November 18, <<https://www.nytimes.com/2022/11/18/business/friendshoring-jargon-business.html>>.

Kollewe J. 2022. "Friendshoring: What Is It and Can It Solve Our Supply Problems?" *The Guardian*, August 6, <<https://www.theguardian.com/business/2022/aug/06/friendshoring-what-is-it-and-can-it-solve-our-supply-problems>>.

Krugman P. 2009. *The Return of Depression Economics and the Crisis of 2008*. New York, W.W. Norton & Company.

Krugman P. 2020. *Arguing with Zombies: Economics, Politics, and the Fight for a Better Future*. New York, W.W Norton & Company.

Lee A. 2021. "Global Public Debt to Rise 'Modestly' After Us\$14 Trillion Spent to Tackle Coronavirus Economic Damage, IMF Says." *China Macro Economy*, January 28, <<https://www.scmp.com/economy/global-economy/article/3119649/global-public-debt-rise-modestly-after-us14-trillion-spent>>.

Lee L. 2020. "Contiliano T. America's Zombie Companies Rack Up \$2 Trillion of Debt." *Bloomberg*, November 17, <<https://www.bloomberg.com/news/articles/2020-11-17/america-s-zombie-companies-have-racked-up-1-4-trillion-of-debt>>.

LeLaulu L. 2009. "Zombie Economics?" *Devex*, January 12, <<https://www.devex.com/news/zombie-economics-58420>>.

Marin D. 2021. "Making Supply Chains More Resilient" *Project Syndicate*, July 27, <<https://www.project-syndicate.org/commentary/should-governments-help-to-boost-supply-chain-resilience-by-dalia-marin-2021-07>>.

Newman F. 2013. *Freedom from National Debt*. Minneapolis, Two Harbors Press.

Onaran Y. 2012. *Zombie Banks. How Broken Banks and Debtor Nations are Crippling the Global Economy*. Hoboken, John Wiley & Sons.

Papava V. 2010. "Economy of Post-Communist Capitalism Under the Financial Crisis." *Studies in Economics and Finance*, Vol. 27, No. 2.

Papava V. 2020a. "Coronomic Crisis: When the Economy Is a Hostage to Medicine." *Eurasia Review*, March 29,

<https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>>.

Papava V. 2020b. “Features of the Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic and the Threat of the Zombie-ing of the Economy.” *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 14, No. 3.

Papava V. 2020c. “On the Atypical Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic.” *Economics and Business*, Vol XII, No. 4.

Papava V. 2022a. “On Sanctionomics.” *Eurasia Review*, March 14, <<https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped/>>.

Papava V. 2022b. “On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy.” *Eurasia Review*, March 31, <<https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped/>>.

Papava V. 2022c. “Moving from Hyper-Globalization.” *Eurasia Review*, October 28, <[https://www.eurasiareview.com/28102022-moving-from-hyper-globalization-oped/?fbclid=IwAR2pYf4-drq\\_z0j5oF9mad6BO8SrxvsRUbd7ebBjdt6Fp14jYVZiVITq0](https://www.eurasiareview.com/28102022-moving-from-hyper-globalization-oped/?fbclid=IwAR2pYf4-drq_z0j5oF9mad6BO8SrxvsRUbd7ebBjdt6Fp14jYVZiVITq0)>.

Papava V. 2022d. “Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization.” *Eurasia Review*, May 23, <<https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/>>.

Papava V. 2022e. “The Underproduction Inflation: An Acute Challenge for Post-Pandemic World.” *Eurasia Review*, February 7, <<https://www.eurasiareview.com/07022022-the-underproduction-inflation-an-acute-challenge-for-post-pandemic-world-oped/?fbclid=IwAR1GA4IrKY8hc3No1DDsrw6fx271vinRPgYSCr4lC3L4MP3hDPaYmVilrqA>>.

Papava V. 2023. “How Zombie Economicus Is Gradually Replacing Homo Economicus.” *Eurasia Review*, March 16, <<https://www.eurasiareview.com/16032023-how-zombie-economics-is-gradually-replacing-homo-economics-oped/>>.

Papava V., Charaia V. 2021. *The Problem of the Growth of Georgia's Public Debt During the Economic Crisis Under the Covid-19 Pandemic*. Expert Opinion, No. 152. Tbilisi, GFSIS, <<https://gfsis.org/en/152-the-problem-of-the-growth-of-georgias-public-debt-during-the-economic-crisis-under-the-covid-19-pandemic/>>.

Papava V., Chkuaseli M. 2021a. “Coronomics, Financial Support for the Economy and its Zombie-ing (In the Context of the Fifth Factor of Production).” *Finance: Theory and Practice*, Vol. 25, No.5, <<https://financetp.fa.ru/jour/article/view/1319/869>>.

Papava V., Chkuaseli M. 2021b. “Economic Consequences of the COVID-19 Pandemic and the Economic Ability of a Government as a Factor of Production.” *International Business & Economics Studies*, Vol. 3, No. 2, <<http://www.scholink.org/ojs/index.php/ibes/article/view/3959/4266>>.

Pride J. D., Reynolds M. T., Vovk V. 2022. “Supply-Chainflation.” *Glenmede*, January 10, <<https://www.glenmede.com/wp-content/uploads/2022/01/Investment-Strategy-Notes-01-10-22.pdf>>.

Quiggin J. 2010. *Zombie Economics. How Dead Ideas Still Walk Among Us*. Princeton, Princeton University Press.

Rajan R. 2020. “How Much Debt Is Too Much?” *Project Syndicate*, November 30, <<https://www.project-syndicate.org/commentary/borrowing-and-spending-limits-in-ultra-low-interest-rate-environment-by-raghuram-rajn-2020-11>>.

Rajan R. G. 2022. “Just Say No to “Friend-Shoring”.” *Project Syndicate*, January 3, <<https://www.project-syndicate.org/commentary/friend-shoring-higher-costs-and-more-conflict-without-resilience-by-raghuram-rajn-2022-06>>.

Reuters. 2023. “Russian Oil and Gas Budget Revenues More than Doubled in October.” *Reuters*, November 3, <<https://www.reuters.com/business/energy/russian-oil-gas-budget-revenues-more-than-doubled-october-2023-11-03/>>.

Ruehl J. P. 2022. "Sanctions Batter Russia as the Kremlin Attempts to Overcome Them." *Eurasia Review*, December 6, <<https://www.eurasiareview.com/06122022-sanctions-batter-russia-as-the-kremlin-attempts-to-overcome-them-oped/>>.

Roubini N. 2022a. "From Great Moderation to Great Stagflation." *Project Syndicate*, August 9, <<https://www.project-syndicate.org/commentary/great-stagflation-has-replaced-great-moderation-by-nouriel-roubini-2022-08>>.

Roubini N. 2022b. "Russia's War and the Global Economy." *Project Syndicate*, February 25, <<https://www.project-syndicate.org/onpoint/russias-war-and-the-global-economy-by-nouriel-roubini-2022-02>>.

Roubini N. 2022c. "The Age of Megathreats." *Project Syndicate*, November 4, <<https://www.project-syndicate.org/onpoint/age-of-megathreats-war-climate-debt-inflation-technology-by-nouriel-roubini-2022-11?barrier=accesspaylog>>.

Roubini N. 2022d. "The Stagflationary Debt Crisis Is Here." *Project Syndicate*, October 3, <<https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-debt-crisis-is-here-by-nouriel-roubini-2022-10>>.

Roubini N. 2022e. "The Unavoidable Crash." *Project Syndicate*, December 2, <[sletter&utm\\_campaign=414efefcef-https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-economic-financial-and-debt-crisis-by-nouriel-roubini-2022-12?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=414efefcef-sunday\\_newsletter\\_12\\_04\\_2022&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-414efefcef-93567601&mc\\_cid=414efefcef&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-economic-financial-and-debt-crisis-by-nouriel-roubini-2022-12?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=414efefcef-https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-economic-financial-and-debt-crisis-by-nouriel-roubini-2022-12?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=414efefcef-sunday_newsletter_12_04_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-414efefcef-93567601&mc_cid=414efefcef&mc_eid=e9fb6cbcc0)>.

Roubini N. 2023a. *MegaThreats: Ten Dangerous Trends That Imperil Our Future, And How to Survive Them*. Boston, Little, Brown and Company.

Roubini N. 2023b. "Our Megathreatened Age." *Project Syndicate*, November 24, <<https://www.project-syndicate.org/onpoint/megathreats->

[remain-despite-moderation-of-pandemic-and-other-shocks-by-nouriel-roubini-2023-11?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=57a74e2da0-op-newsletter-11-24-2023&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-57a74e2da0-93567601&mc\\_cid=57a74e2da0&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/newsletter/11-24-2023?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=57a74e2da0-op-newsletter-11-24-2023&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-57a74e2da0-93567601&mc_cid=57a74e2da0&mc_eid=e9fb6cbcc0)>.

Santos A. M., Haegeman K., Moncada-Paternò-Castello P. 2021. *The Impact of COVID-19 and of the Earlier Crisis on Firms' Innovation and Growth: A Comparative Analysis*. JRC Working Papers on Territorial Modelling and Analysis No 03/2021. Seville, European Commission, 2021, <<https://ec.europa.eu/jrc/sites/default/files/jrc125490.pdf>>.

Shiller R. J. 2008. *The Subprime Solution: How Today's Global Financial Crisis Happened, and What to Do About It*. Princeton, Princeton University Press.

Smith D. C. 2003. "Loans to Japanese Borrowers." *Journal of the Japanese and International Economies*, Vol. 17, No. 3.

Spence M. 2021. "Why Are Supply Chains Blocked?" *Project Syndicate*, November 3 <<https://www.project-syndicate.org/commentary/prevent-future-supply-chain-disruptions-using-ai-models-by-michael-spence-2021-11>>.

Spence M., Leipziger D. 2020. "The Pandemic Public-Debt Dilemma." *Project Syndicate*, December 8, <[https://www.project-syndicate.org/commentary/pandemic-spending-debt-dilemma-by-michael-spence-and-danny-leipziger-2020-12?utm\\_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm\\_campaign=4f0dca62b8-sunday-newsletter-12-13-2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-4f0dca62b8-93567601&mc\\_cid=4f0dca62b8&mc\\_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog](https://www.project-syndicate.org/commentary/pandemic-spending-debt-dilemma-by-michael-spence-and-danny-leipziger-2020-12?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=4f0dca62b8-sunday-newsletter-12-13-2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-4f0dca62b8-93567601&mc_cid=4f0dca62b8&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog)>.

Steil B. 2023. "The Real Cost of De-Dollarization." *Project Syndicate*, August 16, <<https://www.project-syndicate.org/commentary/no>

[alternative-to-the-us-dollar-by-benn-steil-2023-08?barrier=accesspaylog](https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=67133fbc7b7bcovid_newsletter_02_07_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc_cid=67133fbc7b&mc_eid=e9fb6cbcc0)>.

Stiglitz J. E. 2010. *Freefall: America, Free Markets, and the Sinking of the World Economy*. New York, W.W. Norton & Company.

Stiglitz J. E. 2020, “Priorities for the COVID-19 Economy.” *Project Syndicate*, July 1, <[https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=67133fbc7b7bcovid\\_newsletter\\_02\\_07\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc\\_cid=67133fbc7b&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=67133fbc7b7bcovid_newsletter_02_07_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc_cid=67133fbc7b&mc_eid=e9fb6cbcc0)>.

Stiglitz J. E., Rashid H. 2020a. “How to Prevent the Looming Sovereign-Debt Crisis.” *Project Syndicate*, July 31, <<https://www.project-syndicate.org/commentary/how-to-prevent-looming-debt-crisis-developing-countries-by-joseph-e-stiglitz-and-hamid-rashid-2020-07?barrier=accesspaylog>>.

Stiglitz J. E., Rashid H. 2020b. “Which Economic Stimulus Works?” *Project Syndicate*, June 8, <[https://www.project-syndicate.org/commentary/stimulus-policies-must-benefit-real-economy-not-financial-speculation-by-joseph-e-stiglitz-and-hamid-rashid-2020-06?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=c41ee7287a87asunday\\_newsletter\\_14\\_06\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-c41ee7287a-93567601&mc\\_cid=c41ee7287a&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/stimulus-policies-must-benefit-real-economy-not-financial-speculation-by-joseph-e-stiglitz-and-hamid-rashid-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=c41ee7287a87asunday_newsletter_14_06_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c41ee7287a-93567601&mc_cid=c41ee7287a&mc_eid=e9fb6cbcc0)>.

Tarallo M. 2020. “The Effectiveness of Economic Sanctions as a Security Tool.” *ASIS International*, January 1, <<https://www.asisonline.org/security-management-magazine/articles/2020/01/the-effectiveness-of-economic-sanctions-as-a-security-tool/>>.

Tvalchrelidze A. G. 2022. “World Economy After the COVID-19 Pandemic: Opportunities and Challenges.” *Nanotechnology Perceptions*, Vol. 18, No. 2.



Tvalchrelidze A., Silagadze A. 2020. "COVID-19 Coronavirus Pandemic Influence on Crude Oil Prices. A Preliminary Statistical Analysis." *Economics and Business*, Vol. XII, No. 2.

UN. 2021. "Enhancing Energy Security in the Context of the Coronavirus Disease Pandemic for a Greener, More Resilient and Inclusive Energy Future in the Region." *UN Economic and Social Council*, February 1, <[https://www.unescap.org/sites/default/d8files/event-documents/ESCAP\\_77\\_17\\_E.pdf](https://www.unescap.org/sites/default/d8files/event-documents/ESCAP_77_17_E.pdf)>.

Williams L. 2020. "Can the World Innovate Its Way Out of the COVID Crisis?" *Investment Monitor*, October 5, <<https://www.investmentmonitor.ai/global/can-the-world-innovate-its-way-out-of-the-covid-crisis>>.

*Vladimer Papava*

## **THE PANDEMIC, THE RUSSIAN-UKRAINIAN WAR, AND RELATED ECONOMIC THREATS**

### **Summary**

The paper examines the economic threats resulting from the COVID-19 pandemic, the Russian-Ukrainian war, and the economic sanctions that were imposed by the West on Russia. As a result of the study, both macroeconomic (growth of public debt, high inflation) and microeconomic (zombification of the economy, stopping the innovative development of the economy) threats were identified. Russia's war in Ukraine has exacerbated the risk of Moscow using cryptocurrency for illicit transactions. The issue of energy and food security has also worsened. The foundation for the process of de-dollarization in international trade is being laid, although, in reality, replacing the US dollar with other currencies is impossible both now and in the foreseeable future. The basis of the future economic model of the world's economy will most likely be "globalization with economic security."